შპს ორიენტირის დირექტორის
ბრძანება

11/09/2026

№ 00019956

"შპს ორიენტირის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების დამტკიცების შესახებ" შპს ორიენტირის 2026 წლის 30 აპრილის N7499 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ცალკეული ცვლილებების განხოციელების მიზნით, შპს ორიენტირის წესდების და კოლეჯის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის 2026 წლის 10 სექტემბრის N19578 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. შევიდეს ცვლილება "შპს ორიენტირის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების დამტკიცების შესახებ" შპს ორიენტირის 2026 წლის 30 აპრილის N7499 ბრძანებაში და ბრძანებით დამტკიცებული დანართი შეიცვალოს ახალი დანართით.
2. ეს ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ROOT
შპს ორიენტირი
დირექტორი
მაჭარაშვილი რამაზ

რ. მაჭარაშვილი

შპს საზოგადოებრივი კოლეჯი „ორიენტირი“

ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები

თბილისი

2026

შესავალი

დოკუმენტი ეფუძნება პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტებს და შპს საზოგადოებრივი კოლეჯი „ორიენტირის“ (შემდგომში კოლეჯი) მარეგულირებელ დოკუმენტებს. დოკუმენტი ხელს უწყობს კოლეჯში ხარისხის უზრუნველყოფის კონცეფციის განვითარებას.

დოკუმენტში წარმოდგენილი ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების გამოყენებით მიმდინარეობს კოლეჯის საქმიანობის შიდა და გარე შეფასება, რაც უზრუნველყოფს რესურსების უწყვეტ შეფასება/განვითარების ეფექტიანობას და ხარისხის შენარჩუნების გაუმჯობესებას.

მუხლი 1. ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი

1. ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი, რომლის მიზანია სწავლების ხარისხის მუდმივი მონიტორინგი, განვითარება და სრულყოფა. ქნის კოლეჯის ერთიან პოლიტიკას, რათა ხელი შეუწყოს პროფესიულ სტუდენტზე/მსმენელზე ორიენტირებულ სასწავლო საგანმანათლებლო გარემოს დაგეგმვას, შეფასებასა და მუდმივ განვითარებას.

2. შპს ორიენტირში (შემდგომში კოლეჯი) სასწავლო პროცესის ხარისხის გაუმჯობესების უზრუნველყოფისათვის გამოიყენება შიდა და გარე მექანიზმები. დასახული მიზნების განხორციელებისათვის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური იყენებს ე.წ. **PDCA მიდგომას:**

P – Plan - დაგეგმე;

D – Do - განახორციელე;

C – Check - შეამოწმე;

A – Act - განავითარე .

P – Plan - დაგეგმე - სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები, რომლების მიხევითაც განისაზღვრება მოკლე და გრძელვადიანი განვითარების პერსპექტივები და მათი მიღწევის გზები.

სწავლების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით იგეგმება ჩასატარებელი ღონისძიებების სიხშირე, კრიტერიუმები და განმახორციელებლები. განისაზღვრება კონკრეტული მიზნები, რესურსები, ამ მიზნების მისაღწევი სტრატეგიული ქმედებები.

D – Do - განახორციელე - აღწერს იმ პროცესებსა და ქვე-პროცესებს, რომელიც სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მიღწევისთვის განისაზღვრა.

ხარისხის უზრუნველყოფის სისტემაში განხორციელების პროცესი ექვემდებარება რეგულარულ შემოწმებას და ანგარიშგებას. სისტემატური შემოწმების შედეგებმა შეიძლება მოითხოვოს ცალკეული პროგრამების ან მათში შემავალი კომპონენტების მოდიფიკაცია ან კორექტირება. ამ პროცესზე

უფლებამოსილი პირები ვალდებულნი არიან პროგრამები შესაბამისობაში მოიყვანონ დადგენილ სტანდარტებთან.

C – Check - შეამოწმე - ამოწმებს სასწავლო პროცესში ჩართული ყველა სტრუქტურული ერთეულის მიერ სწავლისა და სწავლების დონის ამაღლების მიზნით შესრულებულ სამუშაოს, სასწავლო პროცესში ჩართული ადამიანური რესურსის მუშაობის ხარისხს.

კოლეჯის მიერ ჩატარებული შემოწმების ან კვლევის შედეგები ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ, ეცნობება და განიხილება ადმინისტრაციის წარმომადგენლებს. შემოწმების/კვლევებით მიღებული შედეგების შემოწმების მიზანია კოლეჯის ძლიერი და სუსტი მხარეების წარმოჩენა და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება.

A – Act - განავითარე - მონიტორინგის შედეგებიდან გამომდინარე ასახავს არსებული პრობლემების აღმოფხვრის გზებს, ავითარებს ინოვაციურ მიდგომებს სტრუქტურული ერთეულების კოორდინირებულ საქმიანობაში და ახორციელებს ღონისძიებებს სასწავლო პროცესში ჩართული ადამიანური რესურსის მუშაობის ხარისხს გაუმჯობესებასთან დაკავშირებით.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი განსაზღვრავს შემოწმების შედეგად ან კვლევით გამოვლენილი ხარვეზების მიზეზებს და რეკომენდაციების შემუშავების გზით ადგენს მდგომარეობის გაუმჯობესების მექანიზმებს.

მოცემული მიდგომის თანახმად ერთი ფაზის დასრულება ნიშნავს მეორე ფაზის დაწყებას და ა.შ.
ხარისხის უწყვეტი სრულყოფის მექანიზმების დანერგვა და განხორციელება ხელს უწყობს სწავლების განხორციელების მიმდინარე ეტაპის მონიტორინგსა და შემდეგ ეტაპზე სწავლების ხარისხის ამაღლების სტრატეგიის განსაზღვრას.

მუხლი 2. შეფასება.

1. ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები გულისხმობს კოლეჯის საქმიანობისა და რესურსების უწყვეტ შეფასებასა და განვითარებას კოლეჯში სწავლა-სწავლების და სხვა მიმდინარე პროცესების ხარისხის შენარჩუნების და გაუმჯობესების მიზნით.

2. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, შეიმუშავებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემას და ახორციელებს ღონისძიებებს სასწავლო პროცესის ხარისხის სისტემატური სრულყოფისათვის.

3. კოლეჯის ხარისხის უზრუნველყოფა დასახული მიზნების მისაღწევად თანამშრომლობს კოლეჯის ყველა სტრუქტურულ ერთეულთან/თანამდებობის პირთან, პროგრამის განმახორციელებელ პირებთან, პროფესიულ სტუდენტებთან / მსმენელებთან, კურსდამთავრებულებთან, პარტნიორ ორგანიზაციებთან / დამსაქმებლებთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან.

4. ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები გულისხმობს ხარისხის შიდა და გარე შეფასებას.

ა) შიდა შეფასება - კოლეჯის სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულების საქმიანობის შიდა შეფასება, შეფასების შედეგებზე რეაგირება მიღებული შედეგების გაუმჯობესების მიზნით. შიდა ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი.

ბ) გარე შეფასება - კოლეჯის გარე შეფასება ძირითადად გულისხმობს ავტორიზაციისა პროცესში მიღებულ შეფასებებს, რასაც ახორციელებს სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი. ასვე, შეფასების მიზნით კოლეჯის მიერ შესაძლებელია მოწვეული იქნას გარე ექსპერტი. გარე შეფასების შედეგებზე რეაგირება კოლეჯისთვის მნიშვნელოვანია მიღებული შედეგების გაუმჯობესების მიზნით.

ხარისხის უზრუნველყოფის შიდა შეფასება:

შიდა შეფასების პროცესებში კოლეჯი უზრუნველყოფს ყველა დაინტერესებული მხარის ჩართულობას, მათ შორის პროფესიული სტუდენტების/მსმენლების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი პირების, ადმინისტრაციული პერსონალის. ჩართულობა უზრუნველყოფს კოლეჯის მიმდინარე პროცესების საჯაროობას, ეფექტიანობას და შედეგზე ორიენტირებას. მისიით დასახული მიზნების მისაღწევად კოლეჯი უზრუნველყოფს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ადამიანური, სასწავლო რესურსის, მატერიალური რესურსების შიდა სტანდარტების შესაბამისად შეფასებას, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი მიღებული ინფორმაციის გაანალიზების საფუძველზე შემდგომი განვითარებისთვის ახორციელებს საჭირო რეკომენდაციების იდენტიფიცირებას.

ხარისხის უზრუნველყოფის გარე შეფასება:

1. კოლეჯი უზრულველყოფს ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით გარე შეფასების გამოყენებას, ადგილობრივ საკანონმდებლო დონეზე (ავტორიზაცია), ასევე, მოწვეული სპეციალისტის სიმულაციური შეფასების გზით. ამრიგად კოლეჯი უზრუნველყოფს შეაფასოს საქმიანობის ეფექტურობა, ასევე, დასახოს ახალი პერსპექტივები და უზრუნველყოს ხარისხის უზრუნველყოფის უწყვეტი პროცესი, გარე შეფასების პროცესის შედეგად მიღებული შეფასების გათვალისწინებულია კოლეჯის მუდმივი განვითარებისთვის.

2. კოლეჯი უზრუნველყოფს შრომის ბაზრის მეთოდოლოგიის შესაბამისად ბაზრის კვლევას. სადაც იკვეთება ბაზრის საჭიროება, დასაქმების მიდგომები, კონკრეტული საგანმანათლებლო პროგრამის საჭიროებების გათვალისწინებით ხორციელდება შრომითი ბაზრის მოკვლევა. ასევე საქართველოს სხვა პროფესიულ სასწავლებლებში არსებული მსგავსი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კვლევის ანალიზის მოძიება შესწავლა, რაც ხელს უწყობს კოლეჯის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ეფექტურ განხორციელებას.

მუხლი 3. ვერიფიკაცია

1. დაწესებულებაში სასწავლო პროცესის წარმატებით განხორციელების უზრუნველყოფის მიზნით, საჭიროა აღნიშნულ პროცესზე მუდმივი დაკვირვება და შესაბამისი მხარდაჭერის ღონისძიებების დაგეგმვა-განხორციელება.

2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასების მიზნით დაწესებულების დირექტორის ბრძანების საფუძველზე იქმნება შიდა ვერიფიკაციის ჯგუფი, რომლის შემადგენლობაშიც შედის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, დაწესებულების ადმინისტრაციის სხვა წამომადგენელი / წარმომადგენლები და შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი.

3. შიდა ვერიფიკაციის ჯგუფს ხელმძღვანელობს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი.

4. შიდა ვერიფიკაციის ჯგუფი შეიმუშავებს სამოქმედო გეგმას, რომელსაც ბრძანებით ამტკიცებს კოლეჯის დირექტორი.

5. აღნიშნული სამოქმედო გეგმა ითვალისწინებს: სასწავლო პროცესზე დასწრებას, დაკვირვების კითხვარების შეგროვებას (შიდა ვერიფიკაციის ჯგუფის მიერ თეორიულ და პრაქტიკულ მეცადინეობებზე და შეფასების პროცესზე პერიოდული დასწრებას. **(დანართი N1 - დაკვირვების ფურცელი)** და ანალიზს, გარე ვერიფიკაციის ჯგუფისთვის ანგარიშის მომზადებას. პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების შედეგების საფუძველზე შიდა ვერიფიკაციის ჯგუფი შეიმუშავებს რეკომენდაციებს და წარუდგენს დაწესებულების დირექტორს, შემდგომი რეაგირებისთვის.

6. შიდა ვერიფიკაციის ჯგუფის მიერ განხორციელებული თითოეული აქტივობა ფორმდება დასკვნის სახით, რომელსაც ხელს აწერენ შიდა ვერიფიკაციის ჯგუფის წევრები.

7. შიდა ვერიფიკაციის ჯგუფი მოქმედებს კოლეჯ „ორიენტირის“ დებულების, სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის, დაწესებულების შინაგანაწესისა და სხვა შიდა სამართლებრივი რეგულაციების შესაბამისად და პასუხისმგებელია დირექტორის წინაშე.

8. ვერიფიკაციის პროცესი შესაძლებელია გაგრძელდეს ერთი დღიდან არა უმეტეს 3 დღისა.

შიდა ვერიფიკაცია:

1. შიდა ვერიფიკაცია წარმოადგენს ხარისხის უზრუნველყოფის წამყვან მექანიზმს, რომლის მეშვეობითაც დგინდება კოლეჯში განხორციელებული სხვადასხვა საგანმანათლებლო პროგრამის შემადგენლობაში შემავალი თითოეული მოდულის სწავლის შედეგების შეფასების ინსტრუმენტებისა და მისი დამადასტურებელი მტკიცებულებების თავსებადობა/შესაბამისობა კონკრეტულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამასთან და მოდულთან;

2. ვერიფიკაცია ხორციელდება შერჩევის მექანიზმის მიხედვით. მათ შორისაა: პროფესიული სტუდენტის/მსმენელის მიერ გასაჩივრებული შეფასების შედეგები; გამოკითხვის შედეგებით გამოვლენილი შეფასებასთან დაკავშირებული ფაქტორი; დამწყები პროფესიული განათლების მასწავლებლის ფაქტორი; პროფესიული განათლების მასწავლებლის შერჩევითი პრინციპით შემოწმება; პროგრამაში ერთგვაროვანი შეფასების სისტემის არსებობა; საგანმანათლებლო სტანდარტის ცვლილება; მოდულის ფარგლებში მუდმივად მრავალი უარყოფითი შეფასების ფაქტის ან პირიქით, უარყოფითი შეფასების ფაქტის არარსებობა;

3. შიდა ვერიფიკაციის მეშვეობით ხორციელდება კოლეჯში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების შემადგენლობაში შემავალი მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების შეფასების ინსტრუმენტების სიღრმისეული, სხვადასხვა რაკურსით შესწავლა და აუცილებლობის შემთხვევაში, შესაბამისი მოდულის პროფესიულ მასწავლებლელთან/პრაქტიკის ხელმძღვანელთან უკუკავშირის საფუძველზე, მოდულის შეფასების ინსტრუმენტში ცვლილების შეტანა.

- **შიდა ვერიფიკაციის განხორციელების ეტაპები და მიდგომები**:

შიდა ვერიფიკაციის განხორციელების ეტაპები:

ა) ვერიფიკაციის გეგმის შედგენა;

ბ)ვერიფიკატორების ინსტრუქტაჟი;

გ) ვერიფიკაციის სამიზნე ინსტრუმენტის შერჩევა;

გ) შესამოწმებელი ინსტრუმენტისა და მტკიცებულებების გამოთხოვა;

ე) შესამოწმებელი ინსტრუმენტისა და მტკიცებულებების ვერიფიკაცია:

ვ) ვერიფიკაციის დასკვნის პროექტის შედგენა და წარდგენა კოლეჯის დირექტორისათვის;

ზ) ვერიფიკაციის საბოლოო დასკვნის შედეგების გაცნობა/უკუკავშირი სამიზნე ჯგუფებთან;

თ) რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგი .

- **შიდა ვერიფიკაციის პრინციპები:**

ა) სანდოობა;

ბ) ვალიდურობა;

გ) გამჭვირვალობა;

დ) სამართლიანობა;

ე) ობიექტურობა.

- **შიდა ვერიფიკაცია ხორციელდება სამი მიმართულებით:**

ა) შეფასებისას გამოყენებული ინსტრუმენტის ვერიფიკაცია;

ბ) პროცესის ვერიფიკაცია;

გ) მტკიცებულებების ვერიფიკაცია.

- ✓ **შიდა ვერიფიკაციის სანდოობის პრინციპი:**

შიდა ვერიფიკაციის განხორციელების დროს, შეფასება მიიჩნევა სანდოდ და სანდოობის პრინციპი დაცულია, თუ:

ა) შეფასების შედეგები ერთი და იგივეა, მიუხედავად იმისა, თუ ვინ და როდის აფასებს პროფესიული სტუდენტის/მსმენელის სწავლის შედეგებს;

ბ) გამოიყენება ვალიდური შეფასების მექანიზმები;

გ) ეფუძნება შეფასების მკაფიოდ განსაზღვრულ კრიტერიუმებს;

დ) უცვლელია განსაზღვრული დროის განმავლობაში.

შიდა ვერიფიკაციის სანდოობის პრინციპი საშუალებას აძლევს პროფესიული განათლების მასწავლებელს/პრაქტიკის ხელმძღვანელს, მიღებულ იქნას სანდო და სამართლიანი გადაწყვეტილება ყველა პროფესიულ სტუდენტთან და მსმენელთან მიმართებით.

- ✓ **შიდა ვერიფიკაციის ვალიდურობის პრინციპი:**

შიდა ვერიფიკაციის ვალიდურობის პრინციპი წარმოადგენს შეფასების სიზუსტისა და შესაბამისობის საზომს. შეფასება ვალიდურია, როდესაც:

ა) პროფესიული განათლების მასწავლებელი/პრაქტიკის ხელმძღვანელი შეფასების მიზნის შესაბამისად გეგმავს შეფასების პროცესს;

ბ) შეფასების ინსტრუმენტები შერჩეულია შეფასების მიზნიდან გამომდინარე;

გ) პროფესიული განათლების მასწავლებელი/პრაქტიკის ხელმძღვანელი პროფესიულ სტუდენტს/მსმენელს აძლევს შესაძლებლობას შესაბამისი მტკიცებულებების საფუძველზე წარმოაჩინოს კონკრეტული კვალიფიკაციისთვის აუცილებელი ცოდნა და უნარები;

დ) საშუალებას აძლევს პროფესიული განათლების მასწავლებელს/პრაქტიკის ხელმძღვანელს მიღებულ იქნას სანდო და სამართლიანი გადაწყვეტილება ყველა პროფესიულ სტუდენტთან/მსმენელთან მიმართებით.

- ✓ **შიდა ვერიფიკაციის ობიექტურობის, სამართლიანობის და გამჭვირვალობის პრინციპი:**

შიდა ვერიფიკაციის ობიექტურობის, სამართლიანობისა და გამჭვირვალობის პრინციპი დაცულია, თუ შეფასება არის გამჭვირვალე - მასში ნათლად არის განსაზღვრული კონკრეტული კრიტერიუმები, რომელთა მიხედვითაც, მაქსიმალურად ობიექტურად და სამართლიანად შეფასდება ნებისმიერი პროფესიული სტუდენტის/მსმენელის ესა თუ ის სწავლის შედეგი.

მიუხედავად იმისა, შეფასება ხორციელდება წერითი/ზეპირი გამოკითხვის, პრაქტიკული დავალების, ტესტისა თუ სხვა გამოკითხვის მეთოდით, პრინციპი უნდა იყოს ერთგვაროვანი.

- ➢ **შიდა ვერიფიკაციის განხორციელების პროცესი:**

შიდა ვერიფიკაციის პროცესს ახორციელებს შიდა ვერიფიკაციის ჯგუფი, რომელსაც ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარდგინების საფუძველზე ამტკიცებს კოლეჯის დირექტორი - შიდა სამართლებრივი აქტის - ბრძანების გამოცემის გზით.

- **შიდა ვერიფიკაციის ჯგუფის შემადგენლობაში შესაძლებელია შედიოდეს:**

ა) კოლეჯის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი - შიდა ვერიფიკაციის ჯგუფის ხელმძღვანელი;

ბ) საგანმანათლებლო პროგრამის შემადგენლობაში შემავალი სხვა მოდულის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებელი/პრაქტიკის ხელმძღვანელი კომპეტენციის მიხედვით - შემფასებელი;

გ) ადმინისტრაციის წარმომადგენელი, რომელსაც გააჩნია შესაბამისი ცოდნა - განათლების ვერიფიკატორი;

დ) მოწვეული დარგის სპეციალისტი/პოტენციური დამსაქმებელი/პროფესიული განათლების მასწავლებელი - დარგის ვერიფიკატორი;

ე) შიდა ვერიფიკაციის მუშაობის პროცესში შესაძლებელია ჩაერთოს სტუდენტური თვითმმართველობის წარმომადგენელი - პროფესიული სტუდენტი;

ვ) დაუშვებელია შიდა ვერიფიკაციის ჯგუფის წევრი მონაწილეობდეს შესაფასებელი მოდულის ვერიფიკაციის პროცესში, თუ თვითონ არის ამ მოდულის განმახოციელებლი, სუბიექტური ფაქტორის გამორიცხვის მიზნით.

ზ) შიდა ვერიფიკაციის განხორციელების გეგმას, კონკრეტულ ვადებს, შიდა ვერიფიკაციის ჯგუფის კონკრეტულ შემადგენლობას ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარდგინების საფუძველზე, ამტკიცებს კოლეჯის დირექტორი შიდა სამართლებრივი აქტის - ბრძანების გამოცემის გზით.

თ) ვერიფიკატორი (დარგის სპეციალისტი) - ჩართულია ვერიფიკაციის პროცესში და ახორციელებს შეფასების ინსტრუმენტის ვალიდაციას სასწავლო პროცესის მარეგულირებელი სამსახურის უფროსთან ერთად შესაბამისობის ტექნიკურ მხარეს, პროგრამის ხელმძღვანელთან ერთად ამოწმებს შეფასების ინსტრუმენტის მოდულთან შესაბამისობის შინაარსობრივ მხარეს. (დარგის სპეციალისტი არ უნდა იყოს შესამოწმებელი შეფასების ინსტრუმენტის შემქმნელი და განმახორციელებელი).

- **შიდა ვერიფიკაციის ჯგუფი ახორციელებს შემდეგ საქმიანობას:**

ა) ადგენს კონკრეტული მოდულისათვის განსახორციელებელი/განხორციელებული სწავლის შედეგის შეფასების ინსტრუმენტის სტრუქტურის შესაბამისობის დადგენას, მისაღწევი/მიღწეული სწავლის შედეგების მიხედვით;

ბ) შეისწავლის განსახორციელებელი/განხორციელებული, კონკრეტული მოდულის სწავლის შედეგის/შედეგების შეფასების ინსტრუმენტის შინაარსობრივ მხარეს მისაღწევ/მიღწეულ სწავლის შედეგთან მიმართებით;

გ) ადგენს მოდულის სწავლის შედეგის/შედეგების მიღწევის დამადასტურებელი მტკიცებულების შესაბამისობას მისაღწევ/მიღწეულ სწავლის შედეგთან/შედეგებთან;

დ) აწარმოებს გამოკითხვებს პროფესიულ სტუდენტთა კმაყოფილების, ასევე პროფესიული განათლების მასწავლებლების/პრაქტიკის ხელმძღვანელების სწავლის შედეგების შეფასების ინსტრუმენტებისა და მისი გამოყენების პროცესის შესახებ;

ე) შიდა ვერიფიკაციის ჯგუფის წარმომადგენლის, შეფასების პროცესზე დასწრების ფაქტის შემთხვევა დასტურდება შესაბამის უწყისზე ხელმოწერის ფაქტით;

ზ) ვერიფიკაციის ჯგუფი ამზადებს დასკვნას და წარუდგენს კოლეჯის დირექტორს შემდგომი რეაგირების მიზნით (დან. 2)

თ) შეფასების ინსტრუმენტების შერჩევისას, შესაძლებელია გამოყენებული იქნას რისკფაქტორების გამოვლენის რეესტრი (დანართი N3).

ი) სწავლის შედეგის/შედეგების შეფასებისას გამოყენებული ინსტრუმენტის ვერიფიკაცია ითვალისწინებს:

შეფასების ინსტრუმენტის შეფასების მიმართულებასთან შესაბამისობის დადგენას (დანართი 4).

- აქვს თუ არა სწავლის შედეგის შეფასების ინსტრუმენტს დავალების შესრულების ინსტრუქცია;

- სწავლის შედეგის შეფასების ინსტრუმენტი იძლევა თუ არა სწავლის შედეგის ყველა ასპექტის შეფასების საშუალებას;

- შეფასების დროის საკმარისობის შეფასებას;

- თუ სწავლის შედეგის/შედეგების შეფასების მეთოდი არის ტესტი, მას აუცილებლად უნდა ახლდეს დავალებების სწორი პასუხები (ე.წ. ტესტის გასაღები). ტესტი უნდა იყოს საშუალო სიძლიერის, დავალებების ფორმულირება და პასუხის ვარიანტები არ უნდა იმეორებდეს პასუხს.

- **ვერიფიკაციის პროცესს ჰყავს:** ეტაპზე პასუხისმგებელი, მონაწილე პირები და ასევე პირები რომლებიც ინფორმირებულები უნდა იყვნენ (დანართი 5).

- **მტკიცებულებების ვერიფიკაცია:**

სწავლის შედეგის/შედეგების დადასტურების მტკიცებულებების ვერიფიკაცია მოიცავს:

ა) შესამოწმებელ მტკიცებულებათა იდენტიფიცირებას;
ბ) მტკიცებულებათა ფიზიკურად არსებობის შემოწმებას;
გ) მტკიცებულებათა მიხედვით შესაფასებელი პირის იდენტიფიცირების შესაძლებლობის შემოწმებას;
დ) მტკიცებულებათა საკმარისობის შეფასებას;
ე) მტკიცებულებათა ვალიდურობის შეფასებას;
ვ) მტკიცებულებათა შეფასება ობიექტურობის თვალსაზრისით;

მუხლი 4. კოლეჯში მიმდინარეობს მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები.

ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით მნიშვნელოვანია თითოეული პროცესის შეფასებას მოხდეს სპეციფიურ ინსტრუმენტებზე/მექნიზმებზე დაყრდნობით.

1. მმართველობითი პროცესები;

ა. სტრატეგიული დაგეგმვა;

ბ. წლიური (მიმდინარე) დაგეგმვა;

გ. ხარისხის მართვა- დაგეგმა;

სტრატეგიული დაგეგმვის ხარისხის უზრუნველყოფა ხორციელდება შემდეგ რეგულაციებსა და ინსტრუმენტებზე/დოკუმენტებზე დაყრდნობით:

• მისიის, ხედვის, ღირებულების შემუშავება, განხილვა, ცვლილებები, დამტკიცება - გაზიარება;

• სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შემუშავება, განხილვა, ცვლილებები, დამტკიცება, გაზიარება, შეფასების მექანიზმები.

• წლიური ანგარიშის მომზადება (ჩართული პირები, ვადები, ძირითადი საკითხები).

პროცესი ციკლური ხასიათისაა. მონაცემების გაწერილი პერიოდულობით შეგროვებისა და შედეგების ანალიზის საფუძველზე ხორციელდება სტრატეგიული მიზნების კორექტირება, ან სტატუსკვოს შენარჩუნება და შედეგების გაუმჯობესება, კოლეჯის სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგის და შეფასების მეთოდოლოგიის შესაბამისად.

- **ხარისხის მართვა (PDCA ციკლი)**

ხარისხის მართვა ხორციელდება შემდეგ ინსტრუმენტებზე დაყრდნობით:

- რისკების სისტემის შემუშავება და პროცესების მონიტორინგი;
- წლიური პროცესების დაგეგმვა;
- პროცესების შეფასება და გაუმჯობესების მექანიზმების განსაზღვრა;
- რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგის განხორციელება.
- კვლევების ჩატარება.

2. ძირითადი პროცესები:

ა. საგანმანათლებლო პროფესიული პროგრამების მომზადება და პროფესიულ მომზადება/ გადამზადების პროგრამების განვითარება;

ბ. სასწავლო პროცესის ორგანიზება;

გ. პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა კორპუსის მართვა.

- **საგანმანათლებლო პროფესიული მომზადება/პროფესიული გადამზადების პროგრამების განვითარება ხორციელდება შემდეგ ინსტრუმენტებზე დაყრდნობით:**

• **პროგრამების დაგეგმვა** - პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთება, შრომის ბაზრის, დამსაქმებელთა მოთხოვნათა ანალიზის და სხვა დაინტერესებულ პირთა გამოკითხვის საფუძველზე.

• **ახალი პროგრამების დამატება** - პროგრამების ადაპტირება, პრაქტიკის ობიექტების მოძიება, ხელშეკრულებების/მემორანდუმების გაფორმება სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებებთან, ადამიანური რესურსის მოძიება, მატერიალური რესურსით უზრუნველყოფა;

• **პროგრამებში ცვლილებების შეტანა და პროგრამების დამტკიცება** - საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, განვითარების, ცვლილებების შეტანის და გაუქმების პროცედურების შესაბამისად;

• **პროგრამების განვითარების მიზნით კვლევების ჩატარება** - პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სპეციფიკიდან გამომდინარე სამიზნე ჯგუფები შეიძლება იყოს პროფესიული სტუდენტები, კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები, პრაქტიკის ობიექტები და ა.შ. კვლევები ხორციელდება კვლევის მეთოდოლოგიის შესაბამისად.

• **მტკიცებულებათა ვერიფიკაცია:** შეფასების ინსტრუმენტების, მტკიცებულებათა ვალიდაცია. ვერიფიკაცია ხორციელდება პროგრამების შემდგომი განვითარების მიზნით.

• **შუალედური გამოცდა:** კოლეჯი ახორციელებს შუალედურ შეფასებას, რომელიც წარმოადგენს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ხარისხის უზრუნველყოფის და პროფესიული სტუდენტებისათვის განმავითარებელი უკუკავშირის მიცემის ერთ-ერთ მექანიზმს.

• **საკვალიფიკაციო გამოცდა:** კოლეჯი ახორციელებს საკვალიფიკაციო შეფასებას, რომელიც გამოიყენება სწავლის შედეგების შეფასების მიზნით.

პროცესი ხორციელდება მონაცემების გაწერილი პერიოდულობით, შეგროვება და შედეგების ანალიზის საფუძველზე. პროგრამების მუდმივი განვითარება: რაც გულისხმობს საგანმანათლებლო პროგრამებში შეფასების შედეგად გამოვლენილი საჭირო ცვლილებების განხორციელებას: სწავლების მეთოდების, შეფასების სისტემის, გამოყენებული ლიტერატურის, სწავლის შედეგების და ა.შ. მოდიფიცირებას. ,,შპს საზოგადოებრივ კოლეჯ „ორიენტირის“ მარეგულირებელი დოკუმენტაციის შესაბამისად.

- **სასწავლო პროცესის ორგანიზება**

სასწავლო პროცესის ორგანიზება ხორციელდება შემდეგ ინსტრუმენტებზე დაყრდნობით:

• სასწავლო პროცესის დაგეგმვა პროგრამების სპეციფიკის გათვალისწინებით;

• სასწავლო პროცესის დაგეგმვა პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;

• სასწავლო პროცესის განხორციელება სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებით;

• სასწავლო მიზნებისთვის გამოყენებული მასალისა და ნედლეულის გამოყენების და ნარჩენების მართვის წესები;

• სასწავლო პროცესის საჭირო მასალითა და ნედლეულით შეუფერხებელი უზრუნველყოფის მექანიზმი;

• სასწავლო პროცესის მიმდინარეობის შეფასება (დასწრება საკონტაქტო საათზე, სასწავლო ცხრილის კონტროლი);

• სასწავლო პროცესის განხორციელება პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით;

• ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია;

• შეფასების სისტემა.

პროცესის ორგანიზება (ხორციელდება) ითვალისწინებს, მონაცემების პერიოდულ შეგროვებას და სასწავლო საქმიანობაში ჩართული პირების საგაკვეთილო პროცესზე დასწრებას. მათ შედარებას კალენდარულ გეგმებთან, საუკეთესო პრაქტიკის გამოვლენას, სისუსტეების იდენტიფიცირებას და სასწავლო პროცესში გამოყენებული რესურსების მუდმივ შეფასებას, განვითარებას და მიღებული შედეგების გაუმჯობესების ხელშეწყობის უწყვეტად განვითარებას, მარეგულირებელი დოკუმენტაციის შესაბამისად.

- **პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა კორპუსის მართვა**

პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა კორპუსის მართვის პროცესის ხარისხის უზრუნველყოფა ხორციელდება შემდეგ მექანიზმებზე დაყრდნობით :

• პროფესიული სტუდენტების /მსმენელების უფლებების დაცვის მექანიზმი;

• პროფესიული სტუდენტების/ მსმენელების მხარდაჭერის ღონისძიებები დაგეგმვა;

• პროფესიული სტუდენტთა/მსმენელთა ინფორმირებულობა და მხარდაჭერის მექანიზმი;

• პროფესიული სტუდენტთა/მსმენელთა ინდივიდუალურ საჭიროებაზო მორგებული სასწავლო მექანიზმი;

• პროფესიული სტუდენტთა / მსმენელთათვის კარიერული მხარდაჭერის მომსახურების მექანიზმი.

- პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა გამოკითხვის შედეგებზე დაყრდნობით , ექვემდებარე გადახედვას, პროცესების სრულყოფის - გაუმჯობესების მიზნით.

3. კოლეჯში მიმდინარე დამხმარე პროცესები:

ა. რეესტრის წარმოება;

ბ. საბიბლიოთეკო სერვისები;

გ. ფინანსური რესურსის მართვა;

დ. ადამიანური რესურსების მართვა;

ე. მატერიალური რესურსის მართვა;

ვ. უსაფრთხოება და წესრიგის დაცვა;

ზ. საზოგადოებასთან ურთიერთობები;

თ. საქმისწარმოება (დოკუმენტთბრუნვა);

- **რეესტრის წარმოება**

რეესტრის წარმოების ხარისხის უზრუნველყოფა ხორციელდება შემდეგ მექანიზმებზე დაყრდნობით:

• რეესტრის წარმოების წესი;

• რეესტრის წარმოებაზე პასუხისმგებელი პირების განსაზღვრა და მათი საქმიანობის შეფასება.

პროცესი ციკლური ხასიათისაა. რეესტრის წარმოებაზე მონიტორინგი ხორციელდება მინიმუმ წელიწადში ერთხელ და შეფასების საფუძველზე გამოვლენილი ნაკლოვანებების შესახებ ანგარიში მიეწოდება დირექტორს შემდგომი რეაგირებისთვის. განმეორებითი შეფასების შედეგად ხდება რეაგირების შეფასება.

- **საბიბლიოთეკო სერვისები**

საბიბლიოთეკო სერვისების ხარისხის უზრუნველყოფა ხორციელდება შემდეგ მექანიზმებზე დაყრდნობით:
• ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი;
• ელექტრონული კატალოგის ადმინისტრირება;
• საბიბლიოთეკო რესურსების დამუშავება საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად;
• საბიბლიოთეკო რესურსების აღრიცხვა (ინვენტარიზაცია);
• საბიბლიოთეკო რესურსების შესაბამისობის უზრუნველყოფა პროგრამების სასწავლო რესურსთან;
• საბიბლიოთეკო რესურსებისა და სერვისების განვითარებაზე ზრუნვა პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა საჭიროებების/ მოთხოვნების გათვალისწინებით;

პროცესი ციკლური ხასიათისაა. პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა გამოკითხვისა და შეფასებების საფუძველზე გამოვლენილი ნაკლოვანებების შესახებ ანგარიში მიეწოდება დირექტორს შემდგომი რეაგირებისთვის. შედეგებზე დაყრდნობით რეგულაციები ექვემდებარება გადახედვას პროცესის გაუმჯობესების მიზნით.

- **ფინანსური რესურსის მართვა**

ფინანსური რესურსების მართვა ხორციელდება შემდეგი ინსტრუმენტების შესაბამისად:
• ფინანსური ანგარიშგების მექანიზმები;
• დაფინანსების ძირითადი წყაროების განსაზღვრა;
• დაფინანსების დამატებითი წყაროების განსაზღვრა.

ფინანსური გადაწყვეტილებები, გამომდინარეობს ფაქტობრივი ბიუჯეტის საპროგნოზო ბიუჯეტთან დადარებისა და დაფინანსების დინამიკის წარმოებით. შეფასების შედეგები მიეწოდება დირექტორს შემდგომი რეაგირებისთვის.

- **ადამიანური რესურსების მართვა**

ადამიანური რესურსის მართვა ხორციელდება შემდეგი რეგულაციებისა და ინსტრუმენტების შესაბამისად:
• პერსონალის მართვის პოლიტიკა (პერსონალის მოზიდვა, შერჩევა, დანიშნვა, პროფესიული განვითარება და ახალი თანამშრომლების დაკვალიანება);
• პერსონალის საქმიანობის შეფასების სისტემა;
• პერსონალის პირადი საქმეები, სამუშაო აღწერილობები და საკვალიფიკაციო მოთხოვნების შემუშავება;
• შრომითი/მომსახურების ხელშეკრულებები;
• პერსონალის დატვირთვის სქემის განსაზღვრა და სტატისტიკური ინფორმაციის მართვა.

პროცესი ციკლური ხასიათისაა და გამოკითხვისა და მიმდინარე პროცესების შეფასების საფუძველზე გამოვლენილი შეუსაბამობები, საჭიროებები მიეწოდება დირექტორს შემდგომი რეაგირებისათვის. განმეორებითი გამოკითხვის შედეგად ხდება რეაგირების შეფასება.

- **მატერიალური რესურსის მართვა**

მატერიალური რესურსის მართვა ხორციელდება შემდეგნაირად:
• უძრავი ქონების მართვა;
• მოძრავი ქონების მართვა;
• შესყიდვები (შენახვა/დასაწყობება);
• პროგრამების შესაბამისად სასწავლო გარემოს აღჭურვა;
• საინფორმაციო რესურსების მართვა;

• ადაპტირებული გარემოს მოწყობა/მართვა;
• კომუნიკაციების მართვა (ელ. ენერგია, წყალი, გათბობა).

პროცესი ციკლური ხასიათისაა და გამოკითხვისა და მონიტორინგის საფუძველზე გამოვლენილ შეუსაბამობებზე ანგარიში მიეწოდება დირექტორს შემდგომი რეაგირებისათვის. განმეორებითი გამოკითხვის შედეგად ხდება რეაგირების შეფასება.

- **უსაფრთხოება, წესრიგისა და ჰიგიენის დაცვა**

უსაფრთხოებისა და წესრიგის დაცვა ხორციელდება შემდეგი რეგულაციების შესაბამისად:
• პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;
• წესრიგის დაცვის მექანიზმები;
• ჰიგიენის დაცვის მექანიზმები;
• უსაფრთხოების დაცვის მექანიზმები (შენობაში, ლაბორატორიებში).
პროცესი ციკლური ხასიათისაა და გამოკითხვის საფუძველზე გამოვლენილ შეუსაბამობებზე ანგარიში მიეწოდება დირექტორს შემდგომი რეაგირებისათვის. განმეორებითი გამოკითხვის შედეგად ხდება რეაგირების შეფასება.

- **საზოგადოებასთან ურთიერთობები**

საზოგადოებასთან ურთიერთობის შეფასება ხორციელდება შემდეგი რეგულაციისა და ინსტრუმენტის შესაბამისად:
• საზოგადოებასთან ურთიერთობის/კომუნიკაციის წესი;
• ვებგვერდის ადმინისტრირება.
პროცესი ციკლური ხასიათისაა და ვებგვერდის მონიტორინგის საფუძველზე გამოვლენილი ნაკლოვანებების შესახებ კვარტალში ერთხელ ანგარიში მიეწოდება დირექტორს შემდგომი რეაგირებისთვის.

- **საქმისწარმოება (დოკუმენტთბრუნვა)**

საქმისწარმოების ხარისხის უზრუნველყოფა ხორციელდება შემდეგი რეგულაციისა და ინსტრუმენტის შესაბამისად:

• საქმისწარმოების წესის შემუშავება;

• საქმისწარმოების ელექტრონული სისტემა (პროგრამული უზრუნველყოფა).

• არქივის წარმოების წესი.

პროცესი ციკლური ხასიათისაა და მონიტორინგის საფუძველზე გამოვლენილი ნაკლოვანებების შესახებ ანგარიში მიეწოდება დირექტორს შემდგომი რეაგირებისთვის. მონიტორინგი ხორციელდება წელიწადში მინიმუმ ერთხელ. განმეორებითი გამოკითხვის შედეგად ხდება რეაგირების შეფასება.

მუხლი 5. კვლევების ორგანიზება.

1. დაწესებულებაში პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის სრულყოფილად და ხარისხიანად განხორციელების უზრუნველყოფის მიზნით, დაწესებულებაში დანერგილია სასწავლო პროცესში ჩართული დაინტერესებული მხარეების (სამიზნე ჯგუფების) უკუკავშირის მექანიზმი, რაც გულისხმობს პროფესიული სტუდენტის/მსმენელის, პროფესიული განათლების მასწავლებლის, კურსდამთავრებულების და დამსაქმებლების რეგულარულ გამოკითხვას და მიღებული მონაცემების ანალიზს.

2. რეგულარული კვლევების განხორციელება არის სასწავლო პროცესის მონიტორინგის ერთ - ერთი მძლავრი ინსტრუმენტი.

3. პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების მთავარი მიზანია გამოავლინოს პროფესიულ საგანმანთლებლო პროგრამებში არსებული ხარვეზები და დასახოს მათი აღმოფხვრის გზები.

4. აღნიშნული პროცესის ეფექტურად განხორციელებას უზრუნველყოფს მასში დაწესებულების პროფესიული სტუდენტების/მსმენელების, პროფესიული განათლების მასწავლებლების, ადმინისტრაციის თანანმშრომელთა, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების/ პრაქტიკის ობიექტების და სხვა დაინტერესებული მხარეების მაქსიმალური ჩართულობას.

5. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, შეიმუშავებს და დასამტკიცებლად წარუდგენს დირექტორს კვლევის მეთოდოლოგიას და შემდეგ კითხვარებს:

ა. პროფესიულ სტუდენტთა კმაყოფილების კვლევის კითხვარი;

ბ. პროფესიული განათლების მასწავლებელთა/პროგრამი ხელმძღვანელთა კმაყოფილების კვლევის კითხვარი;

გ. მოკლევადიანი მომზადება/გადამზადების პროგრამის მსმენელთა კმაყოფილების კვლევა;

დ. ადმინისტრაციული პერსონალის კმაკვლევის კითხვარი;

ე. კურსდამთავრებულთა კმაყოფილების კვლევის კითხვარი;

ვ. დამსაქმებლის /პრაქტიკის ობიექტის მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების კითხვარი.

დაწესებულებაში შემუშავებულია კვლევის მეთოდოლოგია, რომელიც წინასწარ არის შემუშავებული და გაწერილია კოლეჯის დირექტორის მიერ დამტკიცებულ დოკუმენტში - შპს ორიენტირში „კვლევის ჩატარების სახელმძღვანელო“.

1.სახელმძღვანელოს შინაარსი შედგება შემდეგი საკითხებისგან:

- კვლევის მეთოდოლოგია
- კოლეჯის მიერ დაგეგმილი კვლევის ტიპები
- კვლევის განხორციელების პროცედურები, პროცესი, პერიოდულობა
- შედეგების ანალიზი და ანგარიშგება
- კვლევის შედეგების გავრცელება და ინტეგრაცია.

2. კვლევის ჩატარების პერიოდულობა და სიხშირე განსხვავდება კვლევის ტიპების მიხედვით.

3. კვლევის ჩატარების სიხშირე შესაძლებელია განისაზღვროს წინამდებარე დოკუმენტში მითითებული პერიოდულობისგან განსხვავებული სიხშირით, საჭიროებიდან გამომდინარე (მაგ. მოდულების დასრულების შემდეგ და ა.შ.).

4. შპს ,,ორიენტირში“ კვლევის ჩატარების სახელმძღვანელოს დანართის სახით ახლავს კლვევის კითხვარები.

5. კვლევის ჩატარებით მიღებული შედეგების ანალიზის საფუძველზე შესაძლებელია განხილულ იქნას კვლევის ინსტრუმენტების-კითხვარების გადახედვის საჭიროება და განხორციელდეს მათი მოდიფიკაცია.
6. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა, კოლეჯის დირექტორთან შეთანხმებით, შესაძლებელია დაგეგმოს სხვა ტიპის კვლევები საჭიროებიდან გამომდინარე.

7. **კვლევების ჩატარების მიზანია:**

- ხელი შეუწყოს კოლეჯის შიდა გარემოს გამოწვევების რეალიზებას;
- შეაფასოს კოლეჯში მიმდინარე სასწავლო პროცესი;
- მოახდინოს კოლეჯში მიმდინარე პროცესების სუსტი მხარეების იდენტიფიცირება;
- გამოიყენოს მიღებული შედეგები SWOT ანალიზის დამუშავებისას;
- მოახდინოს დასაქმების ბაზრის საჭიროებების იდენტიფიცირება;

8. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ, პროფესიულ სტუდენტებს, პროფესიული განათლების მასწავლებლებს, ადმინისტრაციის თანამშრომლებს, კურსდამთავრებულებს და დამსაქმებლებს/პრაქტიკის ობიეტებს, მიეწოდებათ კითხვარები მატერიალურად, სოციალურ ქსელში შექმნილ ჯგუფებში/ ელექტრონულ ფოსტაზე.
9. შევსებული კითხვარები თავს იყრის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში. აღნიშნული სტრუქტურული ერთეული ახდენს კითხვარების დამუშავებას.
10. დამუშავებული კითხვარების გაანალიზების შედეგები წარედგინება კოლეჯის დირექტორს შემდგომი რეაგირების მიზნით.
11. კვლევის შედეგების გაანალიზებით იზომება ყველა დაინტერესებული მხარის კმაყოფილება და ეხმარება კოლეჯს შეაფასოს მისი მოკლევადიანი და გრძლევადიანი გეგმების შესრულების ხარისხი.

მუხლი 6. დასკვნით დებულება

ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები ექვემდებარება პერიდულად, საჭიროებისამებრ გადახედვას და მასში ცვლილებების შეტანას, რადგან სწავლა / სწავლების პროცესი არის დინამიური, იგი მოითხოვს სისტემატიურ მონიტორინგს ორგანიზაციული დონის შესაფასებლად.

დაწესებულებაში გარკვეული პერიოდულობით (პერიოდულობა განისაზღვრება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ შიდამხარდაჭერის ჯგუფთან ერთად) იგეგმება სამუშაო შეხვედრები პროფესიული განათლების მასწავლებლებთან. აღნიშნულ შეხვედრათა მიზანია: პროფესიულ განათლებაში მიმდინარე სიახლეების გაცნობა და სასწავლო პროცესებთან დაკავშირებული სხვადასხვა საკითხების განხილვა.

წინამდებარე დოკუმენტს ბრძანებით ამტკიცებს კოლეჯის დირექტორი.

დანართი 1

შპს ორიენტირი

მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემადგენელი მოდულის განხორციელების პროცესზე, შიდა მხარდაჭერის ჯგუფის

დაკვირვების ფურცელი

1.შიდა მხარდაჭერის ჯგუფის წევრი/წევრები: ----------

2.პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: ----------

---

3.ჯგუფის ნომერი: ----------

4.მოდულის დასახელება: ----------

5.მოდულის განმახორციელებელი: ----------

6.მეცადინეობაზე დასწრების თარიღი: ----------

7.მეცადინეობის დაწყების დრო: ----------

8.მეცადინეობის ფორმა:

1. ლექცია,
2. პრაქტიკული მეცადინეობა
3. შედეგის დადსტურება

9.ჯგუფში სტუდენტთა რაოდენობა: ----------

10.მეცადინეობაზე დამსწრე სტუდენტთა რაოდენობა: ----------

11.მოდულით დამტკიცებული მეცადინეობის განხორციელების გარემო:

A გარემო

B გარემო

C გარემო

12. მეცადინეობა ტარდება მოდულში მითითებულ შესაბამის გარემოში

1. დიახ
2. არა

13. მეცადინეობის დრო შეესაბამება წინასწარ გაწერილ კალენდარულ გეგმას:

1. დიახ
2. არა
3. ნაწილობრივ

კომენტარი/შენიშვნა: _____

_____

14. მეცადინეობის თემა შეესაბამება წინასწარ გაწერილ კალენდარულ გეგმას:

1. დიახ
2. არა
3. ნაწილობრივ

კომენტარი/რეკომენდაცია/შენიშვნა:_____

_____

15. მასწავლებლის მიერ მეცადინეობის პროცესში გამოყენებული მეთოდები და აქტივობები შესაბამისობაშია მეცადინეობის თემასთან

1.დიახ
2.არა
3.ნაწილობრივ

კომენტარი/რეკომენდაცია/შენიშვნა:_____

_____

16. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალურ /ტექნიკური რესურსით, რაც გაწერილია მოდულში:

1. დიახ
2. არა
3. ნაწილობრივ

კომენტარი/რეკომენდაცია/შენიშვნა:_____

_____

17.სასწავლო პროცესი უზრუნველყოფილია შესაბამისი სასწავლო მასალებით და საგანმანათლებლო რესურსებით:

1.დიახ

2.არა

3.ნაწილობრივ

კომენტარი/რეკომენდაცია/შენიშვნა:_____

_____

18. პროფესიული განათლების მასწავლებელი ახდენს სტუდენტის მოტივირებას

1. დიახ

2. არა

3. ნაწილობრივ

კომენტარი (რა ხერხებს და მეთოდებს იყენებს მასწავლებელი სტუდენტების მოტივაციისათვის):

_____

19. პროფესიული განათლების მასწავლებელი ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას.

1.დიახ

2.არა

3.ნაწილობრივ

კომენტარი/რეკომენდაცია/შენიშვნა:_____

_____

პროფესიული განათლების მასწავლებელი:

შიდა მხარდაჭერის ჯგუფის წარმომადგენელი/წარმომადგენლები:

დანართი 2.

შპს ორიენტირის დირექტორის ბრძანებით შექმნილი შიდა ვერიფიკაციის ჯგუფის

დასკვნა

პროფესიული პროგრამა:

მოდული -

შემფასებელი(მასწავლებელი) -

შეფასების პერიოდი -

ვერიფიკატორები :

1.
2.
3.
4.

ვერიფიკაციიც ჩატარების პერიოდი:

სისტემის ნაწილი	შემოწმების მიდგომა	ინდიკატორი	დიახ/ არა	მტკიცებულება არას შემთხვევაში	რეკომენდაცია
ვალიდურობა					
შეფასების სისტემა ვალიდურია თუ გამოყენებული შეფასების ინსტრუმენტი რელევანტურია იმ სწავლის შედეგის დადასტურებისათვის, რაც ფასდება. ასევე შეფასების გამოყენებული ინსტრუმენტი იძლევა სწავლის შედეგის შეფასების შესაძლებლობას ყველა კრიტერიუმის მიხედვით.					
შეფასების ინსტრუმენტი	შეფასების ინსტრუმენტის შესწავლა სპეციალისტის მიერ	შეფასების გამოყენებული ინსტრუმენტი არის მოდულით განსაზღვრული შეფასების მიმართულების შესაბამისი			
	შეფასების ინსტრუმენტის შესწავლა დარგის სპეციალისტის მიერ	შეფასების ინსტრუმენტის შინაარსი სრულფასოვნად აფასებს შესაფასებელ სწავლის შედეგებს, მოდულით დადგენილი ყველა კრიტერიუმის მიხედვით.			
სანდოობა					
შეფასების სისტემა სანდოა, თუ განხორციელებული შეფასების შედეგები გამყარებულია სათანადო მტკიცებულებებით.					
	მტკიცებულებათა შესწავლა	ყველა სწავლის შედეგისათვის,			

შეფასების დრო, შეფასების გარემო, გამოყენებული მასალები, აღჭურვილობა და სხვა პირობები). ასევე შეფასებისას ყველა ერთნაირ პირობებში იქნა ჩაყენებული.		
შეფასების პროცესი	შეფასების ინსტრუმენტის შესწავლა (პირობების ნაწილში) დარგის სპეციალისტის მიერ	შეფასებისათვის გამოყოფილი დრო საკმარისია
	შეფასების ინსტრუმენტის შესწავლა (პირობების ნაწილში) დარგის სპეციალისტის მიერ	შეფასება შესაბამის გარემოშია დაგეგმილი
	შეფასების ინსტრუმენტის შესწავლა (პირობების ნაწილში) დარგის სპეციალისტის მიერ	შეფასებისათვის გათვალისწინებულია შესაბამისი აღჭურვილობით უზრუნველყოფა
	შეფასების ინსტრუმენტის შესწავლა (პირობების ნაწილში) დარგის სპეციალისტის მიერ	შეფასებისათვის გათვალისწინებულია შესაბამისი მასალებით უზრუნველყოფა
	შეფასებული პირის ინტერვიურება, შეფასების პროცესზე დასწრება ან ჩანაწერის ნახვა (შესაძლებლობის შემთხვევაში).	შეფასების პროცესი განხორციელდა განსაზღვრული პირობების დაცვით

ობიექტურობა					
შეფასების სისტემა ობიექტურია, თუ ყველა შესაფასებელი პირი ერთნაირი შესრულების (შედეგების) პირობებში ერთნაირად არის შეფასებული.					
შეფასების პროცესი	შეფასების მტკიცებულებათა და უწყისების შესწავლა	ერთნაირად შესრულებული ყველა დავალება ერთნაირადაა შეფასებული			
		სხვადასხვა დონეზე (კრიტერიუმებთან შესაბამისობის მიმართებით) შესრულებული დავალებები სხვადასხვაგვარადაა შესრულებული			

შენიშვნა:

N	გარემოება	პროფესიული განათლების მასწავლებლის/ პრაქტიკის ხელმძღვანელის სახელი, გვარი	შესაძლო რისკი (შიდა ვერიფიკაციის ჯგუფის მოსაზრება, რა შეიძლება იყოს შასაძლო რისკი)	კოეფიციენტი			
				დაბალი 1 ქ.	საშუალო 2 ქ.	მაღალი 3 ქ.	კრიტიკული 4 ქ.
1	დამწყები პროფესიული განათლების მასწალებლის ფაქტორი						
2	დამწყები პრაქტიკის ხელმძღვანელის ფაქტორი						
3	სანდო პროფესიული განათლების მასწავლებლის შერჩევითი პრინციპით შემოწმება						
4	სანდო პრაქტიკის ხელმძღვანელის შერჩევითი პრინციპით შემოწმება						
5	პრაქტიკული დავალებების სიმრავლე						
6	ერთი ინსტრუმენტით, ერთდროულად შესაფასებელი სწავლის შედეგების რაოდენობა						
7	საგანმანათლებლო სტანდარტის ცვლილება						

დანართი 3.

რისკ-ფაქტორების გამოვლენის რეესტრი

N	ინსტრუმენტი	პროცესზე დაკვირვება	პროდუქტის/შედეგის შეფასება	გამოკითხვა
1	ტესტი			
1.1	„ჭეშმარიტი/მცდარია“ პასუხის შემცველი კითხვები			
1.2	მტკიცებულების/მიზეზის შემცველი კითხვები (მრავალი არჩევითი პასუხით)			
1.3	გამოტოვებული სიტყვების ჩასმა			
1.4	კითხვები - შესაბამისობის დადგენა			
1.5	ბადისებრი შეკითხვები			
1.6	კითხვები მრავალი არჩევითი პასუხით			
1.7	მრავალჯერადი პასუხის შემცველი კითხვები			
1.8	კითხვები შეზღუდული არჩევანით			
2	წერითი დავალება (წერითი ნაშრომი)			
3	შემთხვევის შესწავლა (Case Study)			
4	კითხვები ღია დაბოლოებით			
5	ზეპირი შეკითხვები			
6	სტრუქტურირებული შეკითხვები			
7	პროექტი			
8	პროფესიული განხილვები			
9	პრაქტიკული დავალება			
10	როლური თამაში			
11	სიმულაცია			

ეტაპზე პასუხისმგებელი
მონაწილე
ინფორმირება

დანართი N 5

შეფასების სისტემის ვერიფიკაციის პროცესი

პროცესის ეტაპი/ პასუხისმგებელი/ მონაწილე	ხარისხის უ ზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	ვერიფიკატორი განათლება	ვერიფიკატორი . დარგი	ინსტრუმენტის შემმდგენელი	შემფასებელი	სტუდენტი	სასწავლო პროცესის მარეგულირებელი სამსახური	დაწესებულების დირექტორი
ვერიფიკაციის გეგმის შედგენა								

ვერიფიკაციის სამიზნე ინსტრუმენტის შერჩევა								
ვერიფიკატორების შერჩევა								
ვერიფიკატორების ინსტრუქტაჟი								
შესამოწმებელ მტკიცებულებათა იდენტიფიცირება								
შესამოწმებელი ინსტრუმენტისა და მტკიცებულებების გამოთხოვა								
ინსტრუმენტის შეფასების მიმართულებასთან შესაბამისობის დადგენა								
ინსტრუმენტის შინაარსობრივი შეფასება ვალიდურობის თვალსაზრისით								
მტკიცებულებათა ფიზიკურად არსებობის შემოწმება								

მტკიცებულებათა მიხედვით შესაფასებელი პირის იდენტიფიცირების შესაძლებლობის შემოწმება								
მტკიცებულებათა საკმარისობის შეფასება								
მტკიცებულებათა ვალიდურობის შეფასება								
შესაფასებელი პირის წინასწარი ინფორმირების მექანიზმის შემოწმება								
წინასწარი ინფორმირების ფაქტის გადამოწმება მექანიზმის შესაბამისად								
შეფასების დროის საკმარისობის შეფასება								
შეფასების გარემოს შესაბამისობის შეფასება								
შეფასებისას გამოსაყენებელი აღჭურვილობის ადეკვატურობის შეფასება								
შეფასებისას გამოსაყენებელი მასალების და ნედლეულის ადეკვატურობის შეფასება								

შეფასების პროცესის ფაქტობრივი გარემოებების შემოწმება								
მტკიცებულებათა შეფასება ობიექტურობის თვალსაზრისით								
ვერიფიკაციის დასკვნის პროექტის შედგენა								
ვერიფიკაციის დასკვნის პროექტის განხილვის								
ორგანიზება, შეთანხმება ფაქტობრივ გარემობებზე								
შეთანხმება რეკომენდაციებზე (საჭიროების შემთხვევაში)								
ვერიფიკაციის საბოლოო დასკვნის შედგენა								
რეკომენდაციების შესრულების გეგმის შედგენა (საჭიროების შემთხვევაში)								
ანგარიშგება რეკომენდაციების შესრულების შესახებ (საჭიროების შემთხვევაში)								
რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგი (საჭიროების შემთხვევაში)								